№ 135 | 1877—1898 | № 135

პარასკევი, 26 ივნისი, 1898 წ.

# ივერია

პარასკევი, 26 ივნისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა პუპი ალექსანდრეს ასული აბაშიძისა, ბარბარე ნიკოლოზის ასული აბაშიძისა, კნეინა ნინო სვიმონის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა** და **თ. ვლადიმირ სვიმონის ძე აბაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას, მეორე მამისას, ხოლო დანარჩენნი ძვირფასის ძმისას, თავადის

## ნიკოლოოზ სვიმონის ძის აბაშიძისა,

სთხოვენ მობრძანდნენ პარასკევს, 26 ივნისს, დილის 10 საათზედ, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 26, საიდგანაც მიცვალებულის გვამს წაასვენებენ ქუთაისში. ხოლო ქუთაისის რკინის გზის სადგურიდგან მიცვალებულის გვამს წაასვენებენ შაბათს, 27 ივნისს, $9^1/_2$ საათზედ, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში დასაკრძალავად.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

## ბუნება და ცხოვრება

ილ. ალ ხაზიშვილისა

**ფასი 60 კაპ.**

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—10)

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად ახალი წიგნი:

## თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

**მეგახლავარ**ისა.

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას 20%. დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ-ნ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10—უ.—6)

### «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ვასილიევი

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი № 567.**

(50—80—39).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი- (სიდა საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ქიქოძე—რკინის გზის ხარჯვის სათვალთვალო განყოფილების უფროსად და ნათიშვილი—რკინის გზის ანდიჟანის სათვალთვალო განყოფილების უფროსად.

## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 24 ივნისს, დასაფლავებულ იქმნა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი პ. ა. პეშჩუროვი. მიცვალებულის დასაფლავებას დაესწრო თავ. ი. გ. ამილახვარი, მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ი. ვ. მიკკევიჩი, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკკელი, ტფილისის გუბერნატორი თ.ა.ბიკოვი, ვიცე გუბერნატორი კ. ა. სტეფანოვიჩი, ტფილისის პოლიცმეისტერი და მრავალი სხვა. მიცვალებულის გვამი დასაფლავებულ იქმნა მამა-დავითის ეკკლესიის გალავანში.

*** გუშინ წინ, 24 ივნისს, ქალაქის საბჭოს კრებამ სხვათა შორის მოისმინა გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქის მოურავი დაესწროს მოსკოვში ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მე-III ძეგლის კურთხევას, რომელიც იქნება მომავალ აგვისტოს 15 და 20 რიცხვებს შუა. ამ დღესასწაულს დაესწრება რუსეთის ყველა საგუბერნიო ქალაქის მოურავი. საბჭომ ამ საქმ სათვის 1,500 მან. გადასდო და ამასთან მიანდო ბ-ნ ევანგულოვს მოსკოვიდგან პეტერბურგში წავიდეს ქალაქის სხვადა-სხვა საქმის გამო.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, მთავარ-მართებლის ბრძანებით საბჭომ უკვე გადასწყვიტა დააარსოს ტფილისში სულის ავადმყოფთათვის თავშესაფარი. ეხლა ქალაქის გამგეობა ამ თავშესაფარისათვის შესაფერ სადგომს ეძებს. აზრადა აქვს თავშესაფარი კრწანისში დააარსონ.

*** რაკი საქართველოს სამხედრო გზაზედ წვიმების გამო მიმოსვლა შეჩერდა, ამიტომ ტფილისიდგან რუსეთისა და საზღვარგარეთის ფოსტა 23 ივნისს გაგზავნილ იქმნა ბათუმ-ნოვოროსიისკის გზით. 24 ივნისსკი ისევ სამხედრო გზით, რადგან გზის გაწმენდისა გამო ეტლებმა დაიწყეს სიარული.

*** ოთხშაბათს, 24 ივნისს, მოლაპარაკება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის თვით-მართველობაში მოსამსახურეთათვის სადგომების აგების საქ-

## ფელეტონი

### ობოლა

(სურათი ქიზიყელთა ცხოვრებიდგან).

(დასასრული *)

დეკოს მაზლ-რძალი გულზედ სქდებოდნენ, სიბრაზისაგან ნაღველი უსკდებოდათ, რომ ამათი დაგებული მახე—ქსელი უნაყოფოდ რჩებოდა, საწადელი არ უსრულდებოდათ. იმის მაგიერ, რომ დეკო აქედგან გადაესხვაოთ, ის უფრო მაგრა იბოძიწკებს ფეხებს, ყურსაც არ ათხოვებს იმათ ღვარძლით გატენილ ბოროტმოქმედებას. დეკოს იმათის შიშით თათამიც-კი ველარ გაუჩენია. აქაო და რუხ-წიწილა ჩვენს ეზოში გადმოიდაო, ჯოხით ამოუჟლეტდნენ. მეჯი რა გზა ჰქონდა, ნაშრომზედ ელის დაბანა-გულდათუთქვასა და უბ-დავიდარაბას, დეკო უქათმობას არჩევდა. ვისთან უჩივლებდა ხიფათს; მთელის სოფლის ძალაც იმის ხელში ყო და სამართალიც. მეჭურჭლეს საითკენაც უნდა, ჭურჭელს ყურს იქით გამოაბამს და მოდი უმწეო ქვრივი შეჭბმოდა მძლავრ გავლენიან, სოფლის მოხელეობაში გამოქნილსა და მხოლოდ თავისის ჯიბის სარგებლობის მაღმერთებელს—ხიფათის. არა, ერჩივნა ისევ ჯავრი გულშივე ჩაემარხ-ჩაეკლა. ხიფათის და თალას ნამეტნავად თვალები უფრო იმაზედ ეთხრებოდათ, რომ დეკოს ვაჟიშვილი შაქრო ლაზო-უნრიანი გამოდიოდა. თუმცა შაქრო ჯერ პატარა იყო, მაგრამ ყველანი იმას ამბობდნენ, სოფელში მუშაობა-მოხერხებულობაში ბადალი არ ეყოლებაო. აი, წელს მეთერთმეტე წელში იდგა შაქრო, მაგრამ სიხარულით წაიყვანა გუთანზედ დღის მეხრეთ ერთმა ამათებურმა შეძლებულმა გლეხმა გეგენამ. ორის დღისა უნდა ეხნათ ობოლისათვის. ამ გარემოებამ ხომ სულ წელები დასწყვიტათ დეკოს რძალ-მაზლს, ქვეყანაში წილი აღარ ედვათ.

— ადამიანო, შენმა რძალმა დღეს თავისი შკილი გუთანზედ გასტუმრა, ეუბნებოდა თალა თავისს ქმარს: ი თავს რეტი ვის დასხმია, რომ აი ძუძუ-მწოვარა ბალღი გაიყოლა. თუ ნახნავი მოეჭარბებოდა, სხვა აღარავინ იყო, რომ იმისათვის ეჩუქებინა? რაღა შენი რძალი მოუვიდა თვალში.

— გუთანზე თუ გაამგზავრა, მე ვიცი, შენიჭირიმე, ბეღელი კი არ აუვსოს, ან ათეულები არ მოუმკოს ი ჰყლინტმა. მანდ სხვა რამ მიზეზი იქნება, თორემ გეგენას სხვა მოჯამაგირეები-კი ცოტა ჰყავს, რომ ეგეც თან ტანტალასავით არ გაეყოლებინა. მაგან იქ კუდი უნდა აუწიოს იმის მოჯამაგირეებს, თუ რა დღისი მეხრეობა უნდა გაუწიოს შაქრომ,—თავის მხრივ გამოელაპარაკა ცოლს ხიფათი.

— ი მეხი კი დავაყარე და მედგარი ი შენ წელკავიან რძალს, რომ სულ გაფშეკილი დაქივქივებს. დღეს, რომ გეყურებინა, ასე გონია ცას მოსწევნია, ან ერთი თანდი კეთილი, ხაზინა უჩუქებიათო, შვილის გასტუმრება ისე უხაროდა. „შვილო თავს გაუფრთხილდი, არ შაიცივო; ავად რომ გამიხდე, რაღა მეშველებაო“, და თინ ჰკოცნიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა....

ცოლ-ქმართა შურ ბაყლიანმა გულმა რა ცილი არ დასწამა დეკოს რა მიზეზი არ გამოუძებნა ამ უბრალო, სადა გარემოებას. ეს თავიანთის შემჭვარტლულის გულის ნაწარმოები თალამ მეორე დღეს ქვეყანას მოჰფინა, ისმინეთ ხალხნო და ჯამაათნო, ქვეყანაზე რა ცოდო-უბედურება დატრიალდა, მოდით და თქვენ ამას იქითაც იფიქრეთ, რომ ჩვენი რძალი მართლა წმინდა წყლისა, აშარი არ არის. ამ ცილის წამებას გაუძლებდა დეკო, მაგრამ ანაზდეულად მოხვედრილმა ტყვიამ-კი ფეხები მოჰკვეთა საწყალს დეკოს. ჯერ შვილი შინ არ დაჰბრუნებოდა, მაგრამ სხვათა პირით შეიტყო, რომ ამისი საყვარელი შაქრო გუთანზედ ავად გამხდარიყო. დეკო რომ მომკვდარიყო და შვილის ავადმყოფობა არ გაეგონა ამის ყურებს, ის ათას წილად ერჩივნა. მაშ მშვიდობით ეხლა უკეთესის მამავლის და მტანჯველ აწმყოს თავის დახწევის იმედო, მშვიდობით ტკბილო ოცნებავ. „ოხ, ვინ იცის, რა ჯოჯოხეთურ სიხარულის ღიმილმა შეუთამაშა ჩემს რძალს ბოროტებისაგან დაპრანჭულ-დაღმენჭილს სახეზე, როდესაც გაიგო, რომ ჩემი შაქრო ავად გამხდარა“. გაუელვა ერთბაშად თავში ბილილასავით ლონე-მოწყვეტილს ასო-ტან მოდუნებულს—მხრებ ჩამოყრილს დეკოს. შაქროს მინდორს უჩვეულმა აგებულებამ ვერ გაუძლო შემოდგომის ხშირ სიცივე-წვიმებს, ღამე გაცივებულიყო და ციება-ხველა დაეწყებინებინა. მოუყვანეს დეკოს სახლში შაქრო ავადმყოფი, ჩამოყვითლებული. ცა და ქვეყანა დანგრეულიყო, დეკო არას ინაღვლიდა. ეს რა მეხი-მედგარი დაატყდა თავს. გულ-შეწუხებული დეკო მეზობლებმა ძლივს მოაბრუნ-მოასულიერეს. მხოლოდ ეხლა გამოირკვა, გონს მოვიდა დეკო, რომ შაქროს ყურის გდება უნდა. „სხვა დროს მკითხავებს ჩემთვის დიდი დახმარება გაუწევიათ, ეხლაც ჩემი ღმერთები ისინი არიან, ისინი იტყვიან ღვთის განგებას. იქნება რაიმე დავაშავე ღმერთთან და ეს უბედურება იმისა-

* იხ. „ივერია“ № 134.

მე. კომისიამ დაადგინა, შეიძინოს ამ საქმისათვის მიწა ვერაზედ თავ. ხერხეულიძისაგან.

⁂ სენატორი ბარონი ა. პ. ნიკოლაი ტფილისიდგან წავიდა თავისს მამულში ბეთანიას.

⁂ იმ კომისიის თხოვნით, რომელიც სახალხო კითხვებისა და თეატრის საქმეს განაგებს, ქალაქის ინჟენერმა შეადგინა პროექტი ახალის თეატრისა. ამ თეატრში სულ 500 კაცი მოთავსდება ინჟინერის გამოანგარიშებით. მარტო შენობის აგება ეღირება 30,000 მან.

⁂ ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროში განსახილველად წარდგენილია პროექტი იმის შესახებ, რომ სამხედრო აზრით რამდენიმე ახალი გზა იქმნას გაყვანილი ამიერ-კავკასიაში.

⁂ ოთხშაბათს, 24 ივნისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ე. ლ. ვედენეევი საზღვარ გარეთ წავიდა და იმისს თანამდებობის ასრულებას ინჟენერი შაიკევიჩი შეუდგა, რომელიც ივლისში აპირებს აგრეთვე საზღვარ გარეთ წასვლას.

⁂ წარსულს 1897 წელს ოფიციალურის ცნობებით ტფილისში 1099 ჯვარის წერა ყოფილა. პირველად ცოლი შეურთავს 945 კაცს და გათხოვილა 977 ქალი; მეორედ—143 კაცს და გათხოვილა—118 ქალი; მესამედ—11 კაცს და გათხოვილა 4 ქალი. ჯვარ-დაწერილთა შორის 4 კაცი 60 წლისა ყოფილა და ერთი ქალი 52 წლისა.

⁂ ბათუმის გიმნაზიას დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელი უნდა უწოდონ და ამ აზრით შუამდგომლობა აღუძრავს კიდეც ქუთაისის საგუბერნიო მთავრობას.

⁂ მთლად დუშეთის მაზრის მცხოვრებელთ სეტყვისაგან 68,000 მან. ზარალი მოსვლიათ.

⁂ დაღესტნის ოლქის მრავალ ადგილას კალია აღმოუჩენიათ.

⁂ როგორც ოფიციალურის ცნობებიდგან სჩანს, წელს ახალ-ქალაქის მაზრაში კარგი პურის მოსავალი უნდა იყოს, ჯეჯილს ამ ჟამად მთელს მაზრაში კარგი პირი უჩანს.

⁂ გაზ. „ტფ. ფ.“ სწერენ თელავიდგან, რომ გლეხ-კაცობის უმრავლესობა დიდს გაჭირვებაშია უპურობისა გამო. ფუთი პური 2 მანეთიდგან 2 მან. 20 კაპ.—მდე ღირსო.

⁂ სოფ. მუხრანი, (დუშეთის მაზრა). კვირას, 21 ივნისს, მთავრობის მიერ გამოგზავნილმა მამასახლისმა თავი მოუყარა მთლად სოფლის მცხოვრებელთ იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ რა საშუალებანი იქმნან ხმარებულნი, რომ ქურდობა მოისპოსო. მამასახლისმა სოფლის ხალხს ურჩია, რომ ღამის დარაჯები დააყენეთ, განაჩენი შეადგინეთ იმათ გარდასახლების შესახებ, რომელნიც ავკაცობენ და ქურდობა მოისპობაო.

⁂ სოხუმი. ადგილობრივმა საეპარქიო მთავრობამ ბრძანება მიიღო უწმიდესის სინოდისაგან, რომ სოხუმსა და მთელის ეპარქიების ეკკლესიებში ადგილობრივ ენაზედ იქმნეს ხოლმე აღსრულებული წირვა-ლოცვაო. 10 წლის ვანმავლობაში სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვას მოკლებული მცხოვრებლები სიხარულით მოელიან იმ დღეს, როდესაც ეს განკარგულება სისრულეში იქმნება მოყვანილი ვისგანაც ჯერ არს. სოხუმელებმა გზათა მინისტრს და კავკასიის მთავარ-მართებელს თხოვნა გაუგზავნეს, რომ სოხუმში ნავთსადგური იქმნას დაარსებული და რკინის გზით შეუერთდეს ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიასაო. ასეთივე თხოვნა გაგზავნილ იქმნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთანაც. „ახ. მიმ.“

## თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრების საყურადღებოდ *)

დიდი ხანია, რაც რუსეთის ყველა სასწავლებელში, დაბალ სასწავლებლიდგან დაწყებული უმაღლესს სასწავლებლამდე, ერთი მხარე მოსწავლისა სრულიად განუვითარებლად რჩებოდა. მე ვგულისხმობ საზოგადოდ ესტეტიურ მხარეს და განსაკუთრებით სიმღერა-გალობას. 80 წლებიდგან დაწყებული მიაქციეს სასწავლებლის ამ ნაკლს ყურადღება. პირველობა ამ ნაკლის შენიშვნის საქმეში ეკუთვნის სასულიერო წოდებას, რომელმაც მოინდომა გალობის სწავლება პირველ-დაწყებით სამრევლო სკოლებში და რომლისათვისაც შეიმუშავა პროგრამა. ამას ზედ მოჰყვა საერო განათლების მინისტრის ბრძანება, რომელიც თხოულობდა, რომ ყველგან მიექციათ საკმაო ყურადღება მოსწავლის ესტეტიურ მხარის განვითარებისათვის. ამ განკარგულებას და მის შესრულებას ბევრი სხვა მოჰყვა, მაგრამ ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებას, აქ, მოკლე წერილში განვიხილოთ იგი. ჩვენის აზრისათვის საკმაოა, მოკლედ შევეხოთ გალობა-სიმღერის მდგომარეობას საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში საზოგადოდ და კერძოდ თელავის სასწავლებელში. ამ სასწავლებლებში სიმღერა სრულიად განდევნილი იყო და გალობის სწავლა სავალდებულოდ არ ითვლებოდა. ერთის მხრივ თვით მოსწავლენი არავითარს მეცადინეობას არა ჰხარჯავდნენ გალობის შესწავლისათვის, რაკი მისი უცოდინარობა არ აბრკოლებდა კლასიდგან კლასში გადასვლის დროს, და მეორეს მხრივ, არც მასწავლებელი იტეხდა თავს, თუნდა 40 მოსწავლიდგან 8—10 ესწავლა და სხვებს იმავე დროს ეთამაშნათ. უფროს ერთი მასწავლებელი გალობისა იგივე სასწავლებლის მგალობელთა ლოტბარი იყო და საკმარისი იყო, მის მგალობელთა გუნდს სცოდნოდა გალობა. ამისთანა გარემოების შედეგი სხვათა შორის იყო ის, რომ მრავალი გალობის უვიცი გამოვიდა. რასაკვირველია, ცხოვრებამ ამათ ნათლად დაანახვათ ეს ნაკლი, მაგრამ გვიან ღა იყო...

დღეს უწმ. სინოდის განკარგულებით გალობა სასულიერო და სამრევლო სასწავლებლებში სავალდებულო საგნად არის აღიარებული, მაგრამ მარტო სავალდებულო საგნად აღიარება არა კმარა, საჭიროა ეს ახალი სავალდებულო საგანი მოსწავლეთათვის შესასწავლად გაადვილებულ იქმნას. აი, სწორედ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს სამღვდელოებამ სრული თვისი ყურადღება. ეს საგანი ჩვენი სასწავლებლების მოსწავლისათვის რუსეთის სხვა სასწავლებლებთან შედარებით ორკეცია: ქართული და რუსული გალობა. ჩვენმა შვილმა ორივე გალობა უნდა შეისწავლოს, ორივეს ცოდნა ერთნაირად მოეთხოვება. რამდენადაც ორის სხვა-და-სხვა გალობის შესწავლა ართულებს, აძნელებს ცოდნის შეძენასა, იმდენად სწავლების საქმე უნდა გაადვილებული იყოს, რომ ჩვენმა შვილმა გალობაში ისეთივე ცოდნა გამოიჩინოს, როგორც ბუნებით რუსმა, იმ სასწავლებელში კურს შესრულებულმა, სადაც მარტო რუსულ გალობას ასწავლიან. გალობის ცოდნისათვის საჭიროა: 1) მუსიკალური სმენა, 2) ხმა, 3) სუნთქვა და 4) ზომიერების დაცვა.

სმენა არის ყურის საშუალებით გრძნობა ხმაურობისა. სმენა შეიძლება ჰქონდეს ადამიანს ბუნებრივად ან მახვილი, ან ჩლუნგი. მახვილის სმენის მქონებელი ადვილად გაარჩევს ხმასა და ჩლუნგის სმენით-კი კაცი ან სულ ვერ გაარჩევს იმავე ხმასა, ან უფრო დიდი გულ მოდგინება დასჭირდება გასაგებად. ამასთან მახვილის სმენის პატრონი მეტის სიამოვნებით ისმენს მუზიკალურს ხმასა, არჩევს არამც თუ მთელ ტონსა, არამედ ნახევარ ტონსა და წვრილ მისს ნაწილებსა. უმრავლესობა მახვილის სმენით იბადება, მაგრამ განვითარება მუსიკალური სმენისა დამოკიდებულია იმ წრეზედ, რომელშიაც იზრდება პატარა. აქედგან ცხადია, რომ რამდენადაც პატარის გარეშემორტყმული წრე გალობა-სიმღერის მცოდნეა, რამდენადაც პატარას ბევრჯელ ესმის მუსიკალური ხმა, იმდენად მისი სმენა ვითარდება. ამ შემთხვევაში განვითარება იქამდის აღწევს, რომ არამც თუ პატარა არჩევს მუსიკალურ ხმას, არამედ იმისს გამეორებასაც ეჩვევა. ასე ხდება ყველა იმ ოჯახში, სადაც გალობა-სიმღერა კარგად იციან და ხშირად სარგებლობენ თავისის ცოდნით. ძნელი ის არის, რომ ამისთანა ოჯახები იშვიათი გახდა ჩვენში. არც ის ბავშვები არიან ამ მხრივ კარგს მდგომარეობაში, რომლებიც ძიძის ხელით იზრდებიან, რადგანაც ძიძის მუსიკალური განვითარება ანუ განუვითარებლობა არავის აზრში არ მოსდის. არც სხვა დროს იმყოფებიან ბავშვები კარგს გარემოებაში. ამიტომ სკოლაში მოდიან განუვითარებელ და ზოგჯერ დამახინჯებულ მუსიკალურ სმენით; ამათ შორისაც საუკეთესო და სანდო მასწავლებლების სიტყვით, სულ ბევრი 80% მახვილი სმენიანია და 20% მეტი ბუნებრივადვე ჩლუნგის სმენის პატრონია. პირველთ თუ გარემოება უკუღმა უწყობს ხელს (რაც უფრო ხშირია), უმახინჯდებათ ბუნებით ბარებული ნიჭი. მეორენი, თუ გვიან იწყებენ მუსიკალურ სმენის განვითარებას, ვერ ითვისებენ ამ საგანს მალე და კარგად. ესენი თუმცა სცდილობენ რომელისამე მუსიკალურ ხმის გამოთქმას, მაგრამ ის არ გამოდის, რის გამოხატვაც უნდათ, ამათი ხმა ადის, ჩამოდის ზომიერების დაუცველად, ჰკარგავს ტონსა და მუდამ-კი მის ძებნაშია. როცა პირველთ ნახტომი ერევათ, ტონი ეკარგებათ, ჩუმდებიან; მეორენი სულ უკუღმა იქცევიან, როცა ტონი ეკარგებათ—და როდის არ ეკარგებათ?—უფრო მაღლა ყვირილს იწყებენ, ყურებს უჭედავენ მსმენელთ და თუ გუნდში იღებენ მონაწილეობას, უეჭველად სხვასაც ჰრევენ თავისის გაბედულის ყვირილით.

(დასასრული იქნება)

*) ეს კრება 6 ივლისს უნდა შესდგეს.

## წერილი ოზურგეთიდგან

დადგა ივნისი და ჩვენმა მიძინებულმა ოზურგეთმა გამოიღვიძა, ამოძრავდა და სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო, ქუჩები ურმებს ველარ იტევს, მალაზიები სოფლელებით სავ-

---

თვის მომივლინა? ამას ეხლავე შევიტყობ მკითხავისაგან და ვენაცვალე იმის დიდებულებას, ღირსიც-კი არა ვარ, სულ ფეხშიშველა ფეხით დავივლი ყველა ჩვენს სალოცავებს, მუხლით შემოვუვლი გარშემო და მით გამოვისყიდი, თუ რამ შენაცოდარი მაქვს უფალთან. ჯერ ერთი, ჩემს შვილს ფეხები დავბანო თბილის წყლით, იქაც ეხლავე გავქანდები. ჯერ ერთი ამ ჩვენებურ მკითხავთან წავალ და თუ მაგან დაწვრილებით ვერ გამიგო, მაშინ ბ—რს მკითხავს აქებენ, არც იქ დავიზარებ წასვლას, ოღონდ შაქროს ეწამლოს რამეო“.

დეკომ მაშინვე შვილს გაუშალა თეჯა, გაუფინა თეთრი ხამის, ჭუჭყისაგან გაპოხტილ-შელესილი, საბანლეიბ-ბალიში და თბილის წყლით დაჰბანა ფეხები. ჩაეძინა თუ არა ცოტად მისუსტებულ შაქროს, დეკომ მაშინვე მკითხავისაკენ გასწია ნიშან-ნასიბით. მკითხავმა, რასაკვირველია, მაშინვე თითი შორს სალოცავ ეკკლესიებისაკენ გაუშვირა, იქ მოუძებნა შაქროს ავადმყოფობის ფესვები და იქიდგანვე დაუსახა დეკოს ხსნა-შველის ღოდინ-იმედი. ამ ხელად ყმაწვილს თავზედ უზალთუნიანი შანა შემოავლე და ყმაწვილი მალე მოგირჩებაო. დეკოს დაბნელებულს გულს ცოტა არ იყოს მკითხავის სიტყვებმა სიხარულის სხივი მოჰფინ-ჩააშუქა და წუთიერად მაინც განუფანტა მოზღვავებული შავი ფიქრები, რომლებიც შხამიანს გველსავით ულრღნიდა გულ-გონებას.

დაბრუნდა სახლში დეკო, მკითხავის ბრძანება უკლებლივ სისრულეში მოიყვანა, მაგრამ პატარა ობოლას დღითი-დღე უარესობა ეტყობოდა, ხველა-სიცხე ემატებოდა. მეორე მკითხავმაც იქითკენ გაუშვირა ხელი. დეკოს სხვა აღარა დარჩენოდა-რა, შვილი სალოცავებში უნდა წაეყვანა, უიმისოდაო, უთხრა მკითხავმა, არ მორჩებაო, მაგრამ სახლში ორი გროში რომ არ გააჩნია თვალზედ მიიკრას? იმ სიშორეზედ, როგორიც ალავერდის, გავაზისა და თელეთის წმ. გიორგის ეკკლესიებია, წასვლა-კი ხარჯს თხოულობდა. კარგია, ამათ სოფლიდგან ბევრნი იყვნენ იმავ სალოცავებში წამსვლელნი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, უხარჯოდ ვინ წაიყვანდა. ადგა და ნახევარი ეზო დეკომ განაყოფებს მიჰყიდა. „თუ ჩემი შაქრო ცოცხალი არ მეყოლება, რა ეშმაკად და ქაჯად მინდა ეზო ყურე. მაგას ვენაცვალებ ყველაფერს, თავს შემოვაკლებ, ოღონდ მორჩეს, უკეთ შეიქნეს“. დეკომ ყოველივე დაპირება აღასრულა, მაგრამ ობოლას არაფერი ეშველა. აი, დღეს დილით ისე შეუწუხდა დეკოს შვილი, რომ იმის მორჩენის იმედი გადაეწყვიტა-დაჰკარგა. ეს ორი კვირაა უჭმელ-უსმელი ჰყავს გადაწვენილი ლოგინზედ და მდუღარე ჩამოსდის დეკოს. დღეს დილით ხომ გონშიაც ველარ ჩააგდო თავისი საყვარელი ობოლა. აი ეს უწყლავ-უხანჯლავს გულს დეკოს, ლამის არის ჭკუაზედ გადაირიოს. თმა გაწეწილი, რაც ძალი და ღონე აქვს ინადგურებს, იშენს თავში მუშტებს, ხმა მაღლა მოსთქვამს და თან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის. მეზობლები შეკრებილიყვნენ დეკოს ქოხში და მის ქვითინსა და გლოვასთან უერთებდნენ თავიანთს ცრემლ-მწუხარებას. დეკოს გულ-საკლავ მოთქმაზედ ქვაც-კი ატირდებოდა.

— შე მინათი, ნათხოვნი ლუკმით გაზრდილო, შვილო, განა მაგას მოველოდი შენგან, რომ ასე უდროოდ უძირო ორმოში მაგდებ, შვილო; განა დღევანდელ დღეს წარმოვიდგენდი, როდესაც შენის გულისათვის ათას გვარ დუხჭირობას ვითმენდი, შვილო; ზამთარში სიცივისაგან გალურჯებულ ხელ-ფეხს იმისათვის გითბობდი უბეში, რომ ასე მალე გადამაგდებდი, შვილო; მაშ იმისათვის ვიდექ სათხოვრის გზაზე დამდგარი, იმისათვის ვეფერებოდი ქვეყანას, რომ ცხლა ხმასაც აღარა მძრახავ, შვილო; ემაგას მეტიტინებოდი, გავიზრდები, დედავ, და თვალზე ცრემლებს შეგიშრობო, შვილო; მოგიკვდეს დედა, რომ ვერც ერთხელ სავსე ვარცლზედ ვერ მიგიყვანე და ვერც ერთხელ ახალი რომ ვერ შეგიკერე-ჩაგაცვი, შვილო; ემაგას ვფიქრობდი, რომ წამომეზრდება და რაიმე ალმა-დიდებაში შევალ-მეთქი, შვილო; მე თვალებ-დამდგარი ხო თავს აღარ ვიცოცხლებ, ბარემ ეხლავ მიწა მომაყარე, შვილო; ან რაღა სასიცოცხლო ვარ მე ჩასაქოლავი, შვილო.

დეკოს მოთქმა-გოდებასა და თავპირში ცემას დასასრული არ ექნებოდა, რომ ერთბაშათ ვიღაცას არ შეენიშნა, რომ ყმაწვილი უკვე სულსა ლევსო. მართლაც ობოლას ერთი უცბად შეაზრზოლ-დაამთქნარა და განუტევა სული. ამ სურათის დანახვაზედ დეკოს გულიდგან რაღაც უცნაურ-შემზარავი და ტანზედ ცივის ოფლის დამსხმელი გმინვა-კივილი აღმოხდა და თვალის დახამხამებაზედ დააფრინდა შვილის უსულო გვამს. ძლივს, რის წვალებით აჰგლიჯეს მიცვალებულს დეკო, მაგრამ იქ მყოფნი შიშის ზარმა აიტანა, აკანკალათ, როდესაც დეკოს უცნაურის სახის გამომეტყველება, მგზნებარე თვალები შენიშნეს...

დიაღ, სული აღმოხდა დეკოს თვალის სინათლეს ობოლას და დედის გონების სინათლეც თან წაიღო... მას შემდეგ დეკო ცნობიერებაში არ მოსულა, დღესაც დადის და თავისს შვილს დაეძებს თმა-გაწეწილი...

ე. მ—შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეა; ვაჭრებს სიხარულით ღიმილი მოსდით, სახე უწინდებურად აღარ ჩამოსტირით, არც ძილისთვის სცალიანთ და, ასე წარმოიდგინეთ, აღარც ნარდის სათამაშოდ. თამაშსა და ძილს თქვენი ჭირი წაუღია, სადილის მირთმევაც-კი ავიწყდებათ. ან-კი რა ჰქმნან! ამისთანა დრო წელიწადში ერთი შეხვდებათ და ისიც დიდხანს როდი გრძელდება,—ოცი, ოც-და ხუთი დღე; აბრეშუმის ჭიის პარკი თითქმის ყველა ერთად შემოდის და ამ დროს რომ ვაჭარმა ყოველივე თავისი ვაჭრული ნიჭი და უნარი არ გამოიჩინოს, აფსუს არ არის? მაშ რის ოზურგეთელი ვაჭარი არის, თუ ამისთანა დროთი ვერ ისარგებლა და თავის ნიჭი მოუხმარებლად მიწაში ჩაფლა!

ასეც იქცევა ეხლა ჩვენი ოზურგეთელი ვაჭარი. საქმე ის არის, რომ წარსულს წლებში, ამხანაგობის („შუამავალი“) გარდა, ოზურგეთში პარკს ორი კერძო ვაჭარი ჰყიდულობდა, ეხლა-კი იმათ რიცხვს საზღვარი აღარა აქვს. თითქმის ყველა ოზურგეთის ვაჭარი პარკის მყიდველი გახდა და თუ რომელიმე მათგანი არა ჰყიდულობს პარკს, ის უსათუოდ სხვისი აგენტი გახლავს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ პარკმა ფასში ძალიან აიწია. 14 მანეთიდგან 15-დის ავიდა ფუთი. ამ მაზანდის აწევის მიზეზად ისიც გაუხდა, რომ ამხანაგობის გამგეობამ გადასწყვიტა ფუთ პარკში 40 კ. ყოველთვის მეტი მიეცა მწარმოებლისათვის, ვიდრე კერძო ვაჭარნი მისცემდნენ. რასაკვირველია, ამის შემდეგ კერძო კაცთ პარკი ცოტა მისდიოდათ, მაგრამ მოხერხებულმა ვაჭრებმა მაინც შესძლეს ამხანაგობისთვის მეტოქეობა გაეწიათ. თავისი ნოქრები, პატარ-პატარა ბიჭ-ბუჭები ქალაქს გარეთ გზებში დარაჯებად დააყენეს. ნოქრები ისე მოხერხებულად იქცევიან, რომ თითქმის ყველა პარკის გამყიდავი თავის ბატონის დუქანში მიჰყავთ, საიდგანაც თავის დაღწევა სოფლელს მწარმოებელს შეუძლებლათ უხდება, რადგან ეს ვაჟბატონები პარკის ფასად მწარმოებელს სწორედ იმდენს აძლევენ, რასაც-კი მწარმოებელი სთხოვს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ საქონელი მიიღოს იმის დუქნიდგან პარკის ფასში, ან და წონის დროს ნახევარის გირვანქის წონა აჩუქოს. მე თითონ მოწმე ვარ, რომ ვაჭარს ხელში ნახევარ გირვანქიანი ეჭირა და სოფლელს ეუბნებოდა: ფუთ პარკში 14 მ. მოგცემ, თუ ამ პატარა გირის წონას დამითავებო, ე. ი. არ მიანგარიშებო. ნახევარი გირვანქა-კი დიდს სასწორზე ხუთ გირვანქას იწონს, ამ სახით ფუთ პარკზედ ვაჭარმა ხუთი გირვანქა წაართვა. ზოგმა მათგანმა ესეც არ იკმარა და წონაში მალულად მოატყუა მწარმოებელი. მე თითონ ამხანაგობის კანტორაში პარკი ავწონე და რვა გირვანქა გამოვიდა, იგივე პარკი კერძო ვაჭრებმა 6 გირვანქის მეტი არ გამოიყვანეს. ამ ანგარიშით ფუთზე ათი გირვანქა დააკლეს. თუმცა კერძო ვაჭრები ასე ულმერთოდ ატყუებენ სოფლელებს, ამისდა მიუხედავად მაინც მეტი მუშტარი ჰყავთ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრი აგენტები ჰყავთ სოფლებში, რომელნიც ხმას ავრცელებენ, ვითომც ამხანაგობის კანტორა წონაში გატყუებთ და ეს და ეს კერძო ვაჭარი-კი (ვისიც აგენტი თვითონ ბრძანდება) ძალიან სინდისიერად სწონავს და სხვაზედ მეტ ფასსაც იძლევაო. ნათქვამია, ძროხას მარილი მოატყუებს და კაცს ენაო, სოფლელიც სტყუვდება და კერძო მოვაჭრეს უპირატესობას აძლევს; მეორეც ისა, რომ ამხანაგობას არ შეუძლია ბევრი იყიდოს პარკი ასეთ დიდ ფასად (14 მ. და 15 მ.), იმიტომ რომ ამხანაგობა წონაში და ანგარიშში მწარმოებელს ვერ მოატყუებს, როგორც ამას კერძო ვაჭარნი სჩადიან, ხოლო 15 მ. ნაყიდი პარკი ხარჯს ძნელად თუ გასწორებს.

ამხანაგობა ამ ჟამად იმდენს ახერხებს, რომ პარკის ფასს მაღლად აჭერს. მართალია, კერძო ვაჭრები წონაში და ანგარიშში ბევრს ატყუებენ (ერთმა აქაურმა ვაჭარმა ერთ ურემ პარკის ყიდვაში დედაკაცებს 35 მ. მოაკლო), მაგრამ მწარმოებლებს საშუალო რიცხვით ფუთს პარკზედ 12 მანეთიდგან 13 მ. დის მაინც მოსდის. აქაურ ჩარჩებს ამხანაგობა რომ არა ჰსდგომოდა კრიჭაში, მაშინ ფუთი პარკი 9 მან. ვერ ასცილდებოდა, როგორც ეს სამტრედიაში არის. ეხლა ვიკითხოთ, გაითვალისწინეს მწარმოებლებმა ყოველივე ესა და შეიგნეს ასეთი სიკეთე ამხანაგობისა, თუ ვერა? არა და არა, ათასჯერ არა! აქაურ ვაჭართათვისაც დიდად სასარგებლოა ამხანაგობა, ვინაიდგან მისის წყალობით მწარმოებელნი თავისს ნაწარმოებში დიდს ფასს იღებენ, ხოლო მათგან აღებული ფული ყველა ვაჭრების ხელში გადადის, მაგრამ აქაურმა ვაჭრებმა შეიგნეს ეს ცოტა მაინც და მისცეს რაიმე შემწეობა ამხანაგობას! შემწეობისა რა მოგახსენოთ და, იმას-კი ძალიან სცდილობენ, რამე ნაირად ამხანაგობას ბოლო მოუღონ, სული ამოჰხადონ.

ჯერ იმის ცდა-მეცადინეობაში იყვნენ, ამხანაგობას ბანკებში სესხი არ ეშოვნა, მაგრამ როგორც იყო გამგემ კიევის ბანკში ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავდებობით 16,000 მანეთის კრედიტი მოიპოვა და ის იყო უნდა გამოეტანა, ამ დროს ვიღაც ჩარჩთაგანმა „დანოსი“ შეახტუნა კიევის ბანკში ამხანაგობაზედ, ვითომ ამხანაგობა გაკოტრებულია, არავითარი შეძლება და სალსარი არ მოეპოვებაო. ბანკი დაუფრთხა და „შუამავლის“ გამგეს ფულების სესხის უარი მოახსენეს. მერე რა დროს? მაშინ, როცა პარკის ყიდვა უკვე დაწყებული იყო. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ამხანაგობას საშველად ხელი გაუწოდა ოზურგეთის ვაჭარმა, ხაზინადარმა ამავე ამხანაგობისამ ბ-ნმა ყარამან მამულაიშვილმა. მან თავისის თავმდებობით გამგეს 10,000 მანეთამდის გამოატანინა ბანკიდგან, აგრეთვე რამდენიმე ათასი მან. თავის საკუთარი ფულიც ათხოვა, ერთის სიტყვით წელს ამხანაგობას რაც წარმოება აქვს, ყველა ბ-ნ ყ. მამულაშვილის შემწეობით არის.

ეხლა ვიკითხოთ, აქაურის ჩარჩების ასალაგმავად პოლიციამ მიიღო რაიმე ღონისძიება. მიაქცია ყურადღება იმათს სასწორსა და წონას და მოსთხოვა ყველა მათგანს მოწმობანი? არა და არა. ეს-კი არა, ვგონებ ყნოსვის გრძნობაც სრულიად დახშული უნდა ჰქონდეს, თორემ რად აძლევს ნებას, რომ დუქნები და მაღაზიები პარკით სავსეა მთელის კვირაობით და ქალაქში ჰაერს სწამლავს? ასე წარმოიდგინეთ, სამიკიტნოები და რესტორანებიც პარკით არის სავსე! დუქნების წინ ხომ პარკების, გოდრების და ტომრების ისეთი კალოები აყენია, რომ მგზავრს ვერ გაუვლია. ნუ თუ პოლიციის მოვალეობა არ არის, ამას ყურადღება მიაქციოს?

ცორჯი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბაკურციხე**, (სიღნაღის მაზრა). სოფ. ბაკურციხე სიღნაღის მაზრაში განთქმული სოფელია. შესანიშნავია იგი ისტორიულადაც. საქართველოს მეფე ბაკურის დროს—ბაკურციხე, ანუ ბაკურის-ციხე იყო ქალაქი, მხოლოდ შემდეგში ჟამთა კითარებისა გამო ქალაქი ბაკურციხე გადიქცა სოფლად, დარჩა ნანგრევები და ციხეები მეფე ბაკურისა, ბაკურციხის მოქალაქობა გადარიბდა, დაეცა სულითა და ქონებითა და გადიქცნენ შემდეგში ღარიბ სოფლელებად. თუმცა აქამდის ბაკურციხე ძალიან ღარიბს სოფელს წარმოადგენდა, მაგრამ თან და თან ცვლილება მიეცა—ხალუხი სახლები კრამიტიან სახლებად გადიქცა, დაბრანძულად ჩაცმული გლეხები ეხლა ლაზათიანად ჩაცმულები დადიან. ამ სოფლის მცხოვრებ თავად-აზნაურობის ცხოვრება გლეხებზედ უფრო მეტად შეიცვალა გარეგნობით. ბაკურციხეში დაიმართა დუქნები, გაიმართა ვაჭრობა. ამას მოჰყვა აფთიაქი, სასოფლო სამკურნალო, მკურნალი და ფერშლები. აქვე არის საფოსტო სადგური. როცა გნებავთ, წაბრძანდებით-მობრძანდებით, მიიღებთ წერილებს და გაზეთებს. ლამის სოფელი ბაკურციხე ისევ ქალაქად გადიქცეს!

მაშ რაღა აკლია, რომ ქალაქი ვუწოდოთ? ოჰ! მაგას-კი ნუ მკითხავთ. სიღნაღის მაზრაში ბევრი ბაკურციხეზედ ღარიბი სოფელია, მაგრამ ერთის მხრივ ბაკურციხეს სჯობიან. გამართული სკოლა აქვთ და სამკითხველო წიგნთ-საცავი; აი, ეს გახლავთ უმთავრესი ნაკლი სოფელ ბაკურციხისა, ბაკურციხელებისთვის ერთ-კლასიანი-კი არა, ორ კლასიანი სკოლაც არ არის საკმარისი, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ვერც ერთს ვერა ვხედავთ. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? თუ უკეც გლეხობას არ ესმის სწავლის მნიშვნელობა, ამ ბატონისან თავად-აზნაურობას ხომ მაინც არ ესმის. თუ გინდ ბაკურციხის საზოგადოება არ სცდილობდეს სკოლისთვის, მაშ რაღას აკეთებენ ან საეპარქიო, ან მაზრის სკოლის მზრუნველები? უკადრის ადგილასა ჰმართავენ სკოლებსა და ამ ბაკურციხემ რაღა დაუშავა? ვინ არის დამნაშავე, რომ ბაკურციხეში აქამდის სკოლა არ არსებობს?

ბაკურციხის საზოგადოებას რამდენჯერმე მოუწადინებია სკოლის გამართვა.—ყოველნაირს ხარჯს სკოლის შენახვისათვის თვითონ ჰკისრულობდნენ, ზოგიერთი თავადთაგანიც შემწეობას ჰპირდებოდა. თ. დავით ჩოლოყაშვილი და თ. ნიკოლოზ ონანაშვილი 6 დესეტინა მიწას უთმობდნენ სკოლისთვის იმ პირობით, რომ ორ-კლასიანი სკოლა გაემართათ სამეურნეო განყოფილებით. თუმცა ყველაფერი საქმე გამზადებული იყო, მაგრამ მთავრობამ ორ-კლასიანის სკოლის გამართვის ნება არ მოგვცა. ბაკურციხელება ერთ-კლასიან სკოლასაც აღარ აარსებენ.

ასე და ამ გვარად ეს უსკოლობა ბაკურციხეში დიდ ნაკლულევანებას შეადგენს. არ იქნება ურიგო, ვისაც კი ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ!.. დაღონებულები, ყოველ წლივ ორი სამი სკოლის უფროსი მოდის სოფელ ბაკურციხეში ქ. ტფილისიდგან და სკოლას კი ვერა ჰხედავენ. ადგილობრივს მღვდელს უსაყვედურებენ: რატომ სამრევლო სკოლა არა გაქვს გამართულიო? ან რატომ არა სცდილობთ საზოგადოებას ჩააგონოთ, რომ გამართონ სკოლაო?... განა თუ მარტო ბრძანებაა საქმე, რატომ თვითონ არ იღებენ მონაწილეობას. შეკრიბონ საზოგადოება, აუხსნან სკოლის მნიშვნელობა და, თვითონაც გაუწიონ დახმარება სკოლის გამართვაში!..

ჩემის აზრით არ იქნება ურიგო ჯერჯერობით იაფ-ფასიანი მასწავლებელი დაენიშნოს თავიანთ ხარჯით სასწავლებელთა საბჭომ. ბაკურციხის საზოგადოება როგორც იქნება სკოლის შენახვას იკისრებს. ამ გვარად დაიწყება საქმე და შემდეგში გაძლიერდება. არც ის იქნება ურიგო, რომ ერთმა შესძლებელმა ბაკურციხის მცხოვრებთაგანმა იკისროს წიგნთ-საცავის და სამკითხველოს გამართვა. არც ერთ სოფელში არ არის იმდენი თავად აზნაურობა, რამდენიც სოფ. ბაკურციხეში. რასაკვირველია, მოთხოვნილებაც იქნება წიგნებისა.. თვით „წერა-კითხვის საზოგადოებაც“-კი ვგონებ შემწეობას გაუწევს თავისის გამოცემულ წიგნებით...

თ. კახელი

# რუსეთი

სახელმწიფო რკინის გზების ტელეგრაფის უფროსთა კრება გამართულ იქმნება ამ წლის ნოემბერს და კრება, სხვათა შორის, მოილაპარაკებს სახაზო მატარებლების ვაგონების ელექტრონით განათების შესახებ.

— საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ამიერიდგან რუსეთის ყველა გიმნაზიებში ერთისა და იგივე სახის მოწმობა მიეცით ხოლმე სწავლა დამთავრებულთ, როგორც ეს ნაჩვენებია 1891 წელს გამოცემულს წესდებაშიო.

— სამკურნალო საბჭოში ლაპარაკია ღძრული იმის შესახებ, რომ ფარმაცევტ ქალებს სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოთო.

— განზრახვა აქვთ განსაკუთრებული ინსტიტუტი დააარსონ მთელის რუსეთის ნიადაგის მცოდნე კაცთა მოსამზადებლად. უკვე შემუშავებული პროექტი ინსტიტუტისა წარედგინება სახელმწიფო საბჭოს მომავალს სესიას დასამტკიცებლად. ამ ინსტიტუტის დაარსებისთანავე ყველა უნივერსიტეტთან დაარსებულ იქმნება თურმე კათედრები ნიადაგის შესასწავლად.

— უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ დანტისტის წოდების მისაღებ ეგზამენის გარდასახდელად მსურველმა უნდა წარმოადგინოს იმის მოწმობა, რომ იმან ეს ხელობა ამა თუ იმ დანტისტთან შეისწავლაო.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გუშინდელმა დეპეშამ მეტად საყურადღებო ამბები მოიტანა ბრძოლის ველიდგან. დეპეშა იუწყება სანტ-იაგოში მყოფ ესპანელების დამარცხებას, როგორც ხმელეთზედ აგრეთვე ზღვაზედ. 23 ივნისს, დილით, გენერალი შაფტერმა გარს შემოერტყა თავისის ჯარით ქალაქს სანტ-იაგოს და ესპანელებს შეუთვალა უომრად დამმორჩილდით, თორემ ქალაქს მიწასთან გავასწორებო. ამავე დღეს, საღამოთი, სასტიკის ბრძოლის შემდეგ, ამერიკის ჯარის ერთი ნაწილი, გენერალის ლაუტონის უფროსობით, თვით ქალაქში შევიდა და იქ შეება ესპანელებს. ბრძოლა მეტად ცხარე იყო. ამერიკელებმა 1000 კაცი დაჰკარგეს, მათ შორის მოკლული 150 კაცია. ესპანელებს სამჯერ და ოთხჯერ მეტი ზარალი მოუვიდათ. მაგრამ ეს დამარცხება თითქმის არაფერია სერვერის ფლოტის დამარცხებასთან შედარებით, რომელიც ამავე დღეს, 23 ივნისს მოხდა. ამერიკიდგან მოსული დეპეშა იუწყება: „სამპსონის ესკადრა სანტ-იაგოს ნავთ-სადგურში შევიდა და იქ სრულიად გაანადგურა სერვერის ფლოტიო“. მეორე დეპეშა იუწყება, რომ სამპსონის ესკადრამ სერვერის ფლოტი ნავთ სადგურს გარეთ დაამარცხაო. სერვერი გაპარვას აპირებდა, ჩუმად ნავთ სადგურიდგან გამოვიდა, მაგრამ სამპსონის გემებმა დროზედ შეამჩნიეს და ყუმბარები დაუშინესო. ასე თუ ისე, ესპანიამ დღეს ერთად-ერთი იმედი და ნუგეში,—სერვერის ესკადრა, დაჰკარგა. მთავრობა და ხალხი ამ ესკადრას შესცქეროდა და ამისაგან მოელოდა ხსნასა და შველას. მაგრამ დღეს ესეც ხელიდგან გამოეცალა და ეხლა ვეღარავითარ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევს ამერიკას. მართალია, ესპანიას კიდევ ჰყავს ერთი ესკადრა. რომელიც ამ ორის დღის წინად შევიდა სუეზის არხში და რომელიც მხოლოდ ორის კვირის შემდეგ იქნება კუბაში, მაგრამ, გაზეთების სიტყვით, ეს ესკადრა ვეღარაფერს გააწყობს და ვერას უშველის ხმელეთსა და ზღვაზედ დამარცხებულ ესპანიას; მით უმეტეს, რომ ლონდონის გაზეთების სიტყვით, ეს ესკადრა მეტად მცირეა და რაც არის ისიც არაფრად არ ვარგა: ამ ესკადრაში ერთი ხეირიანი გემი არ მოიპოვება. ამიტომ, შეიძლება, ესპანიამ ბრძოლა აღარ განაგრძოს და შერიგება მოსთხოვოს ამერიკას.

**საფრანგეთი.** თუმცა საფრანგეთის ახალი სამინისტრო რადიკალთაგან შესდგება, მაგრამ იმის პროგრამა ბევრით არ განირჩევა იმ პროგრამისაგან, რომელსაც მელინის სამინისტრო ადგა. საკმაო მომხრეები რომ ჰყოლოდა პარლამენტში, ახალი სამინისტრო იძულებული გახდა გამოეცხადა, არ ვეცდები, რომ პარლამენტი კონსტიტუციის განხილვას შეუდგეს და შემოიღოს შემოსავალის თანახმად გაწერილი გადასახადიო. ამ ორის საგნის განხორციელება კი რადიკალთა დიდის ხნის

სურვილი და მისწრაფება. ამ სამინისტროში სულ ორი კაცია, რომელნიც მინისტრებად პირველად არიან, სახელდობრ ტრუივო და მარიუ-ეჟული. დეპუტატად ორივენი 1789 წლიდგან არიან. პირველი—ვექილია, ხოლო მეორე—მწერალი. აწინდელი მინისტრ-პრეზიდენტი ბრისონი შარშან პარლამენტის პრეზიდენტად იყო. ბრისონი ეს მეორედ ასრულებს მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობას, პირველად სამინისტრო მან 1885 წელს შეადგინა. რესპუბლიკის პრეზიდენტის სადი-კარნოს მოკვლის შემდეგ ბრისონმა პრეზიდენტობაზედ დაიდგა ყუთი, მაგრამ გააშავეს და იმის მაგიერ კაზიმირ პერიე აირჩიეს. ბრისონი ფელიქს-ფორის მეტოქედაც გამოვიდა, მაგრამ დამარცხდა: ფელიქს-ფორმა 430 ხმა მიიღო, ხოლო ბრისონმა 361 ხმა. გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასიე (დაიბადა 1852 წელს)—ჟურნალისტია, 1894 წელს დიუპუის სამინისტროში დელკასიე ახალშენთა მინისტრად იყო. ფინანსთა მინისტრი პეიტრალი (1842 წ. დაიბადა) წინად ორჯელ ასრულებდა ფინანსთავე მინისტრის თანამდებობას, პირველად—1888 წ., ხოლო მეორედ—1893 წელს. სჯულის საქმეთა მინისტრი სარიენი (დაიბ. 1842 წ.) ორჯელ შინაგან საქმეთა მინისტრად იყო, ერთხელ კიდევ ფოსტათა და ტელეგრაფთა მინისტრად. საერო განათლების მინისტრი ლეონ ბურჟუა (დაიბ. 1851 წ.) რადიკალთა დასის წინამძღოლი და მეთაურია. 1887 წ. ბურჟუა პოლიციის პრეფექტის თანამდებობას ასრულებდა, ხოლო 1892 წელს უკვე საერო განათლების მინისტრობა მიიღო. 1895—96 წ. მინისტრ-პრეზიდენტად იქმნა მიწვეული. გარდა ამისა ბურჟუაც სჯულის საქმეთა და საერო განათლების მინისტრობასაც ასრულებდა. სამხედრო მინისტრი, კავენიაკი (დაიბ. 1853 წ.) შვილია ცნობილის გენერალის კავენიაკისა. ლუბეს სამინისტროში 1892 წელს კავენიაკი ზღვათა მინისტრად იყო, ხოლო ბურჟუას სამინისტროში 1895—1896 წლ.—სამხედრო მინისტრად. ზღვათა მინისტრი ედუარდ ლოკრუა (დაიბ. 1840 წ.) გამოჩენილი ჟურნალისტია. სხვა-და-სხვა დროს ლოკრუა ასრულებდა ვაჭრობისა, საერო განათლებისა და ზღვათა მინისტრობას. დასასრულ მიწად-მოქმედების მინისტრი ვიჟე (დაიბ. 1843 წ.), ხელობით მკურნალი, ეს მესამედ ასრულებს მიწად-მოქმედების მინისტრობას.

—

**გერმანია.** მკითხველებმა დეპეშიდგან უწყიან, რომ გერმანიაში უკვე დასრულდა დეპუტატების დამატებით არჩევანები. თუმცა ამ არჩევანებმა სოციალ-დემოკრატთა მოლოდინი არ გაამართლეს, მაგრამ მაინც ყველაზედ მეტი მათი მომხრე იქმნა არჩეული. საზოგადოდ წელს პარლამენტში სოციალ-დემოკრატთა დასმა ყველაზედ მეტი ახალი ადგილი შეიძინა. მათ თოთხმეტი დეპუტატი მიემატა, მაშინ როდესაც კონსერვატორებს დააკლდა ათი და „ცენტრს“ მხოლოდ 4 მიემატა. ამ პარლამენტში სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელი სულ 56 კაცია, „ცენტრ“-ისა—103, კონსერვატორთა—62 კაცი. ნაციონალ-ლიბერალებს 3 კაცი დააკლდა, ასე რომ წელს 52 კაცის ნაცვლად პარლამენტში მათ მხოლოდ 49 კაცი ჰყავთ. მაგრამ ყველაზედ ბევრი საიმპერიო დასმა დაჰკარგა. მათი რიცხვი ახალ რეიხსტაგში მხოლოდ 20-ია. სოციალ-დემოკრატთა შემდეგ ბევრი ადგილი შეიძინა პარლამენტში, სახელდობრ შვიდი ადგილი, თავისუფალ მოაზრეთა საერო დასმა. მათ ეხლა 30 დეპუტატი ჰყავთ.

---

## ნაპერსი

—

ორი ქალი ჰლაპარაკობს:

— როგორ გაუკვირდებათ ბალში, ჩემს ახალს კაბას რომ ჰნახავენ!

— მკერვალის ფული გარდახდილი გაქვს?

— რასაკვირველია.

— მაშ იმას მიერ ხელ-მოწერილი ანგარიშიც ზედ დააკერე და უფრო გაუოცდებათ.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის მეფის ჰენრიხ მეორის სატრფო დიანა დე-პუატიე, რომელსაც მეფემ უბოძა ჰერცოგინას ხარისხი, საოცარი ლამაზი დედაკაცი იყო. ამბობენ, რომ 66 წლის ჰერცოგინა ისე ლამაზი იყო, რომ ბევრს სულ ახალგაზდა, უმანკო ქალი ეგონებოდაო. ქ-ნი დიანა დე-პუატიე, ანუ ჰერცოგინა დე-ვალენტინოა სამას ორმოც-დაათის წლის წინადა სცხოვრობდა, მაგრამ საფრანგეთში ეხლაც ისე იხსენიებენ, როგორც შესანიშნავის სილამაზის ქალს. იმ დროს ბევრნი ამბობდნენ, რომ დიანა დე-პუატიე რაღაც საიდუმლო საშუალებასა ჰხმარობს და იმიტომ არის ასე ლამაზიო. ზოგნი კიდევ ამტკიცებდნენ, რომ დიანამ თვისი სული ეშმაკს მიჰყიდა იმ პირობით, რომ სიკვდილამდე სილამაზე შერჩენოდაო. თვით დიანამ თავისი საიდუმლო საშუალება არავის გაუზიარა. მხოლოდ იმისმა პარიკმახერმა უდარმა დიანას სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნა ეს საიდუმლოება. აი რასა სწერს ეს კაცი: მე, უდარი, აფთექარი, ჯარა ექიმი და პარფიუმერი ვაცხადებ დღეს, რომ ქ-ნი დიანა დე-პუატიე, ჰერცოგინა ვალენტინსა, რომელიც 72 წლამდე ჯან საღი და საოცარი ლამაზი დედაკაცი იყო, არაოდეს არა ჰხმარობდა ფერ-უმარილსა და ან სხვა რამ წამლებს და ერთად ერთი მიზეზი იმის სილამაზისა ის იყო, რომ ყოველ დღე ბანაობდა წვიმის წყალში და ამ წყალითვე პირს იბანდა“. უფრო უკეთესი საშუალება კანის სილამაზისათვის და სახეზე ნაოჭების წინააღმდეგ არის შემდეგი საშუალება, რომელსაც დედოფალი ეკატერინე მიდიჩი ხმარობდა და რომელიც მერე ცნობილმა მწერალმა კორვინგმა გამოაქვეყნა. თვით ეს მწერალიც განთქმული იყო თვისის სილამაზით. აი ეს წამალიც: „ფარფორის ჯამში უნდა ჩაახალოთ საკმაოდ კვერცხის ცილა. ჯამშივე უნდა ჩაჰყაროთ შაბის ფხვნილი, თითო კვერცხის ცილაზე ერთი ჩაის კოვზი. მერე ჯამი ცეცხლზე უნდა შესდგათ და ხის კოვზით ურიოთ, ვიდრე კვერცხის ცილა შესქელდებოდეს. მერე ეს წამალი უნდა გაილესოს და გალესვის დროს მიემატოს ცოტა ბენზოის ტინკტურა და ზეთის ხილის ზეთი, შეიძლება ვარდის სურნელებაც მიემატოს. ეს წამალი უნდა შეინახოს პირ შეკრული, რადგანაც ჰაერისაგან მალე გაშრება. ეს წამალი უნდა წაისვათ სახეზე და ხელებზე, დააცალოთ, ვიდრე გაშრება და მერე თითებით ჩამოიწმინდოთ. თუ შუბლზე ნაოჭების გასწორებაა საჭირო, მაშინ ამ წამალში არ უნდა გაურიოთ ზეთი. ეს-კია, რომ ეს წამალი ხშირად უნდა იხმაროს კაცმა, თორემ პირის კანს ძლიერ გააშრობს.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 ივნისი

**ვაშინგტონი.** ოფიციალური დეპეშა ადმირალის სამპსონისა 3 ივლისის თარიღით (ახალი სტილი): „ჩემდამი ჩაბარებული ფლოტი 4 ივლისის საერო დღესასწაულისა გამო ერს საჩუქრად უძღვნის სერვერას ესკადრის სრულს განადგურებას. არც ერთი გემი არ გადარჩენილა. ესკადრა სცდილობდა დილის $9^1/_2$ საათზე გაქცეულიყო და ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე უკანასკნელ გემმა „Cristobal Colon“ თვისი დროშა ჩამოხსნა. გემები Ognendo და Vircaya“ დაიწვა და აფეთქებულია; გემები „Terror და Pluton“ დაიღუპა. ჩვენის მხრივ მოკლულია ერთი და ორი დაჭრილი. მტრის ზარალი დიდია, რამდენიმე ასი კაცი დაიღუპა აფეთქებისა და ცეცხლის გამო, ზოგი ზღვაში დაირჩო. 1300 კაცი დავატყვევეთ; მათ შორის სერვერაც“.

**მადრიდი.** ოფიციალური დეპეშა სანტ-იაგოდგან იუწყება: „სერვერას ესკადრა მთელს საათს ებრძოდა მტერს და მერე დასავლეთისაკენ წავიდა, ამერიკის ხუთი ჯავშნიანი და რამდენიმე სხვა გემი უკან დაედევნა. ჩვენი ორი ნაღმიანი გემი დაიღუპა. ამერიკის მთავარ სარდალმა შემოგვითვალა—ქალაქი დაგვნებდესო, თორემ ყუმბარებს დავუშენთო. გენერალმა ვადა მოგვცა ხვალ დილის 10 საათამდე, რომ ქალაქიდგან გავიდნენ უცხოელნი, დედაკაცნი და ბავშვები. მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას და ქალაქს დავიცავ“.

**კონსტანტინეპოლი.** საფრანგეთისა, რუსეთისა, ინგლისისა და იტალიის ელჩებმა სათითაოდ გადასცეს ოსმალეთის მთავრობას მოკლე მოხსენება კრიტის დროებით მმართველობის შესახებ. რუსეთის საელჩო უფრო ოფიციალურად მოიქცა: ილჩმა დასძინა, რომ საჭირო ინსტრუქციები გაეგზავნება რუსეთის ადმირალს იმავე დროს, როცა ოსმალეთის მთავრობას გადაეცემა ეს მოხსენება. დანარჩენ ელჩების მოხსენება ოფიციოზური იყო, თან დასძინეს, რომ ელჩებს ინსტრუქციები გადაეცაო.

**ვაშინგტონი.** შაფტერი დეპეშით იუწყება, რომ ესპანელნი არ დასთანხმდენ ქალაქის დამორჩილებაზე, თუმცა ხვალ შუადღემდე მივეცი ვადა მოსაფიქრებლად. ამერიკელები გარს შემოერტყნენ ქალაქს. გენერალი ტანდო ძლიერ ახლო მივიდა ქალაქთან.

სამხედრო სამინისტრომ აღიარა, რომ შაფტერის ზოგიერთი დეპეშა არ გამოგვიცხადებიაო.

**მადრიდი.** სასტიკის ბრძოლის შემდეგ სერვერას ესკადრა კუბას კუნძულის ჩრდილოეთის მხრისაკენ წავიდა. ჰფიქრობენ, რომ ჰავანაში მიდის. რაც დახმარება მივიდა სანტ იაგოში, საქმეთა ვითარება უმჯობესი შეიქმნა. სანტ-იაგო შეიძლება დიდხანს იყოს ალყა შემორტყმული, თუმცა სერვერას ესკადრის წასვლის შემდეგ ამერიკელებმა დაჰკარგეს თვისი უმთავრესი მიზანი.

**ვაშინგტონი.** თუმცა ამერიკის გემებმა ძლიერ სასტიკი ბრძოლა გამოიარეს, მაგრამ ზარალი არაფერი მოსვლიათ. ამერიკის ფლოტი გაცილებით უფრო ძლიერი იყო, მაგრამ სერვერა ძლიერ თამამად იქცეოდა და ჰსურდა თავი დაეხწია გემებით ერთად და მაშინაც-კი იბრძოდა, როცა მისს გემს ცეცხლი წაეკიდა. სამპსონი ორ საათს სდევნიდა ესპანელებს. ესპანელების გემები დაშავებული იყო ყუმბარებითა და დაჭრილებით სავსე. როდესაც ალმა და კვამლმა გემები დაჰფარა, ესპანელები თითონ ეცნენ ზღვის ნაპირა კლდეებს და სრულიად დაიღუპნენ.

**ნიუ-იორკი.** სერვერა დასჭრეს ხელში და დაატყვევეს „გლუცესტერის“ გემზე. სერვერა ამბობს, გაქცევა იმიტომ მოვიწადინე, რომ შუაგულ ზღვაში საშიში ბრძოლა ვირჩიე, ხაფანგში სიკვდილს.

**გონკონგი.** 30 ივნისს (ახ. სტ.) ამერიკის სამი გემი კავიტეს მოვიდა. დაიპყრეს მარიანას კუნძულები, გადმოსხეს იქ ჯარი და წაიყვანეს გუბერნატორი და მოხელენი. კავიტეს ჯარი 1 ივლისს გადმოსხეს.

**გონკონგი.** დღეს დასწვავენ მანილიას ზღვისა დ ხმელეთის მხრიდგან.

**მადრიდი.** სერვერას ესკადრის დაღუპვის შესახებ არავითარი ოფიციალური დეპეშა ჯერ არ არის მიღებული.

ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ როდესაც მანილიაში ამერიკელების გემები მივიდნენ, უცხოელთა ესკადრები აქედგან წავიდნენო. ყველანი თავისს თავს ეკითხებიან, საერთაშორისო პოლიტიკაში ხომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა და ამერიკელებს ხომ ნება არ მისცეს ფილიპეს კუნძულებზე თავისუფალ მოქმედებისაო?

ინგლისის ელჩმა გონკონგიდგან გაგზავნა ფოსტის გემი მანილიაში და შეატყობინა ადმირალს დევეს, რომ ეგვიპტეში კამარას ესკადრა მოვიდაო. გაზეთები სწერენ: „ეგვიპტეს მთავრობამ არ გაუშვა კამარას ესკადრა სუეზის არხში, თუ ინგლისისამ, რომ რა არის კამარას მისვლა დაგვიანდეს მანილიაშიო?“

25 ივნისი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: ნება დართოს, რომ ცალკე ნომრობით გაიყიდოს „Петербургская Газета“ და ერთის თვით შეჩერებული იქმნას გაზეთ „Бессарабецъ“-ის გამოცემა.

24 ივლისს მოვიდა ელლინთა დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული ბატონიშვილ ანდრია და ქრისტეფორეთურთ.

**მადრიდი.** მანილიდგან იუწყებიან, რომ მონეტას ალყა არტყია და იმაზედ იერიშია მიტანილი მაკაბებეში. გენერალი აუგუსტა ეცადა შეემაგრებინა წყლის მილი, რომლითაც მანილია იკლავს წყურვილს, და გზა გაეხსნა მონეტასაკენ. სასტიკის ბრძოლის შემდეგ ესპანიელები იძულებულნი შეიქმნენ უკან დაეწიათ მანილისაკენ თავისის სურვილის მიუღწევლად და ამ დროს იმათ ჯარში 50 კაცი მოკლულ იქმნა, ხოლო 150 დაჭრილია.

**მადრიდი.** საგასტამ ოფიციალურად დაასაბუთა, რომ სერვარას ესკადრა დამარცხებულია. „Oguendo“ დამწვარ იქმნა, ხოლო „Jnfanta Maria Feresa“ დაღუპულ ზღვაში. სერვერი ტყვედ არის წაყვანილი.

**მადრიდი.** მთავრობის მხრივ სერვერის ესკადრის გაუქმების აღიარებამ საშინელი სასოწარკვეთილება გამოიწვია. ლონისძიებანია მიღებული, რადგან ჰშიშობენ უწესოება არა მოხდეს-რაო.

ადმირალმა კამარამ ბრძანება მიიღო, შესდექ, სადაც უნდა იყო, რადგან შეიძლება ესკადრა ესპანიასავე დასჭირდესო.

მინისტრთა საბჭოში მცირეოდენს კამათს შემდეგ გადაწყვეტილ იქმნა: ნუ დავიწყებთ სამშვიდობიანო მოლაპარაკებას, არამედ განვაგრძოთ ომი, რაც უნდა დაგვემართოს, იმ დრომდე ვიდრე კუბაში ერთი ჯარის-კაცი მაინც იქმნებაო.

**ლონდონი.** ამერიკიდგან სანტ-იაგოს აუწყებენ, რომ ექიმების აღრიცხვით, ამერიკელებს სულ ცოტა რომ ითქვას, 1,700 კაცი დაღუპვიათ, რომელთა შორის 150 მოკლულია, დანარჩენნი-კი შეიძლება განიკურნენო.

**ნიუ-იორკი.** სერვერამ განაცხადა, რომ მადრიდიდგან ორჯელ მომივიდა ბრძანება, სანტ-იაგოს ნავთსაყუდელს განშორდი და ჰავანნაში წადიო. კარგადა ვგრძნობდი საქმეთა გაჭირვებულს მდგომარეობას, მაგრამ ესპანიის ფლოტის პატივი ვალად მდებდა, რომ სტრატეგიულ მოძრაობისათვის არ მეღალატნა და ამისათვის ფლოტს ვუბრძანე აუცილებელს განსაცდელს წინ მიჰგებებოდაო.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ თ. სოლომონ ჩხეიძის ასულთ ნინასა და სონას და ბიტილო ლორთქიფანიძის ასულს ელენეს, რომელთაც ჩვენს ახლად დაარსებულს უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს 6 მანეთი საერთო ფული და ერთი ვერცხლის ბეჭედი, საკუთრება ერთის მათგანის—სონასი, შემოსწირეს. ამგვარვე მადლობას ვუძღვნი იმ საპატიო კაცთაც, რომელთაც ამავე სამკითხველოს დაარსების დღიდგანვე (26 მაისი) ჟურნალ-გაზეთები გამოუწერეს, ბ. დევიძემ, „ახალი მიმოხილვა“,—ბ-ნმა ნ. ჩომახიძემ „ცნობის ფურცელი,—5. ე. ლორთქიფანიძემ „კვალი“ და „მოამბე“—მღ. ს. დევიძემ.

დიდი ჯიხაიშის სამკითხველოს მმართველი პოლიკარპე ლორთქიფანიძე

---


## განცხადებანი

15 მაისიდგან გამართულია

**ხვედურეთის აბანო**

სად. ქარელის მახლობლად

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Ст. Карели. кн Конст. Цицiанову.

(5—94—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Іюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.